ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში



წლიური ანგარიში
2026

ბათუმის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულო

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა **4** წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებით ჩატარდა. კერძოდ, **2024** წელს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შეტანილი ცვლილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შემადგენლობა, ნაცვლად ადრე განსაზღვრული **35** წევრისა, განისაზღვრა **25** წევრით, მათ შორის, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული **15** წევრისა და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული **10** წევრისგან.

წლიური ანგარიში
2026

ბათუმის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულო

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა **2025** წლის **4** ოქტომბრის არჩევნებზე, **4** წლის ვადით, ამომრჩევლებმა აირჩიეს ბათუმის თვითმმართველი ორგანოს – საკრებულოს **25** წევრი. აქედან, **10** წევრი – ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო **15** წევრი – პროპორციული წესით ბათუმის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

2025 წლის **30** ოქტომბერს გაიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის **VI** მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. სხდომაზე ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმიანობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

წლიური ანგარიში
2026

ინსტიტუციური ორგანიზება

VI მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს
5 მუდმივმოქმედი კომისია და **3** ფრაქცია

კომისიები	ფრაქციები
საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია;	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“
ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია;	
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია;	„ხალხის ძალა“
ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისია;	
იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.	„ევროპელი სოციალისტები“

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

საკრებულოს აპარატი


საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი. საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე. აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი. აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

საკრებულოს აპარატის სტრუქტურა



წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

წლიური ანგარიში
2026

საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობა

საკრებულოს თავმჯდომარე ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

- საკრებულოს სხდომების ორგანიზება, საკითხების განხილვა, გადაწყვეტილებების მიღება;
- მაკონტროლებელი ფუნქციების განხორციელება;
- საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- საკრებულოს წარმომადგენლობითი ფუნქციების გახორციელება.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

VI მოწვევის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაიმართა:

საკრებულოს **11** სხდომა
საკრებულოს ბიუროს **22** სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა **129** საკითხი, მიღებულ იქნა **69** განკარგულება და **60** დადგენილება.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

საკრებულომ 2025 წლის 19 დეკემბერს, დადგენილებით დაამტკიცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის მოცულობამ 570 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2025 წლის სასტარტო ბიუჯეტს 70 მილიონი ლარით აღემატებოდა.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება;
- მუნიციპალური სერვისების განვითარება;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი



წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი

ბათუმის **2026** წლის ბიუჯეტის თანხები, ძირითადად, მოხმარდა ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას, მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებას, ქალაქის კეთილმოწყობას, გამწვანებას, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარებას, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერას, ბინათმშენებლობას და ავარიული შენობების რეაბილიტაციას, ქალაქის დასუფთავებას, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობას, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობასა და სპორტს, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას, ქალაქის ეკონომიკურ და ურბანულ განვითარებას, მუნიციპალური სერვისების განვითარებას.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცვლილებები

ბათუმის საკრებულოს მიერ **2026** წლის **30** მარტს მიღებული დადგენილებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის **2026** წლის ბიუჯეტის გადასახდელები **22** მილიონი ლარით გაიზარდა და საერთო ჯამში **592** მლნ ლარი შეადგინა.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცვლილებები

ბათუმის საკრებულოს მიერ **2026** წლის **21** აგვისტოს დამტკიცებული ცვლილებების შედეგად, მუნიციპალიტეტის **2026** წლის ბიუჯეტის მოცულობა **1.9** მილიონი ლარით გაიზარდა და **593.9** მილიონი ლარი შეადგინა.

ცვლილებები შეეხო რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებას, მათ შორის, საგზაო ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარების, ქალაქის კეთილმოწყობის, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებებს.

გაიზარდა ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის რამდენიმე პროგრამის დაფინანსება, მათ შორის, მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების, მედიკამენტებით უზრუნველყოფის, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის სუბსიდირებისა და შშმ პირების ასისტენტით მომსახურების პროგრამების დაფინანსება.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო


მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცვლილებები


ცვლილებების შედეგად ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტს დაემატა ახალი ღონისძიებები:

- 11 ქუჩის მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- 17 სკვერის მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- 24 მისამართზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- 56 მისამართზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები;
- 20 ერთეული ელექტროავტობუსის შეძენა;
- 150 ლოკაციაზე მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობა;
- საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემებისა და მულტიმოდალური ქუჩების პროექტირება;
- პარკირების ინვენტარიზაცია და მართვის სტრატეგიის მომზადება.

წლიური ანგარიში
2026

საქალაქო ინფრასტრუქტურა





დასრულდა შალვა ინასარიძისა და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩების დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა.

მოწესრიგდა როგორც საავტომობილო, ისე საფეხმავლო ინფრასტრუქტურა - სანიაღვრე ქსელი, გარე განათების სისტემა, ტროტუარ-ბორდიურები, ასფალტის საფარი, საგზაო მონიშვნები.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

საქალაქო ინფრასტრუქტურა




დასრულდა საგზაო რეაბილიტაციის სამუშაოები ალექსანდრე სულაბერიძისა და გიორგი ბრწყინვალის ქუჩების კვეთიდან ალექსანდრე პუშკინის ქუჩამდე, ალექსანდრე პუშკინის ქუჩიდან იოსებ იმედაშვილის ქუჩამდე და იოსებ იმედაშვილის ქუჩიდან ბაქოს ქუჩამდე **(2023-2026 წწ).**

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

საქალაქო ინფრასტრუქტურა




დასრულდა იაკობ გოგებაშვილისა და შოთა რუსთაველის ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

საქალაქო ინფრასტრუქტურა




დასრულდა მიხეილ ლერმონტოვის ქუჩის და გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

საქალაქო ინფრასტრუქტურა



დასრულდა გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩის და ზღვისპირის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

საქალაქო ინფრასტრუქტურა



დასრულდა დემეტრე თავდადებულის, ლუკა ასათიანის, ვაჟა-ფშაველას, 26 მაისის, დავით კლდიაშვილის, კოტე მარჯანიშვილის, ხარიტონ ახვლედიანის, ალექსანდრე ყაზბეგის, იორდან მეტაქსას, ექვთიმე თაყაიშვილის, მიხეილ ლერმონტოვის და მურად ხინიკაძის ქუჩებზე არსებული ქვაფენილის დემონტაჟი და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქალაქო ინფრასტრუქტურა

დასრულებული პროექტები

- დასრულდა მ. ლერმონტოვის ქ. **N115**-ში არსებული ავარიული სახლის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები;
- ლ. ქიქავას ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- რეჯებ ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ი. მესხის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის კეთილმოწყობა ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის **N48**-მდე;
- გაგარინის ქუჩის კეთილმოწყობა გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩამდე;
- მაჭახლის ქუჩის კეთილმოწყობა;
- და სხვა...

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წლიური ანგარიში
2026

ინფრასტრუქტურა

მიმდინარე პროექტები

- ფარნავაზ მეფის ქუჩის და ფიროსმანის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;
- ბაქოს ქუჩის, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩისა და თამარ მეფის გამზირის რეაბილიტაცია თბილისის ქუჩის დასაწყისამდე (I მონაკვეთი) (2026-2027 წწ.);
- აეროპორტის გზატკეცილის N1-დან აეროპორტის გზატკეცილის N93-მდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის (კობალაძის ქუჩიდან შარტავას ქუჩამდე), დავით ხახუტაიშვილის ქუჩის (ფიროსმანის ქუჩიდან შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩამდე) და ინასარიძის ქუჩის (დავით ხახუტაიშვილის ქუჩიდან ტაძრის ქუჩამდე) კეთილმოწყობა (2026-2027 წწ.);
- მიხეილ ლერმონტოვის 106, 106ა, 104-ის მიმდებარედ საბავშვო ატრაქციონის რეაბილიტაცია-მოწყობა;
- მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია;
- და სხვა...

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ინფრასტრუქტურა

მიმდინარეობს ნადიმ ნიჟარაძის ქუჩა №10-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობის სამუშაოები.





მიმდინარეობს სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო (ფერდსამაგრი კედლების მოწყობა) სამუშაოები (2026-2027 წწ).
სულ 70 მისამართზე, აქედან დასრულდა 14.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

ინფრასტრუქტურა

მიმდინარეობს მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი **34** ლიფტის მონტაჟი **(2025-2026 წწ.).**





მიმდინარეობს გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაცია. ქალაქში არსებული გარე განათების **LED** სანათებით ჩანაცვლება (შეცვლა/განახლება) **(2022-2027 წ.წ.).**

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

ინფრასტრუქტურა



მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა:

- ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა **N33** „დ“-ს მიმდებარედ;
- ივანე მესხის **I** ჩიხის **N7**-ის მიმდებარედ;
- ფრიდონ ხალვაშის გამზირის **N188**-ში.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ინფრასტრუქტურა

მიმდინარე პროექტები

- ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობა;
- ავარიული სახლების დემონტაჟის, მშენებლობის, გამაგრება-რეაბილიტაციის ფარგლებში, ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. **N3**ა-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი და ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა;
- ქალაქის მასშტაბით არსებული ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია;
- ავარიული სახლების დემონტაჟის, მშენებლობის, გამაგრება-რეაბილიტაციის ფარგლებში, ქ. ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის **N7**-ში ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.
- და სხვა...


წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

სარეკრეაციო ინფრასტრუქტურა







დასასრულს უახლოვდება ახალი სკვერის მშენებლობა მარკოზ აჭარელისა და ტაბიძის ქუჩებზე. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სპორტული მოედნები, საბავშვო და დასასვენებელი სივრცეები, ასევე, დამონტაჟდება თანამედროვე გარეგანათების სისტემები. სკვერების მიმდებარედ დაიგება ასფალტის საფარი. სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიები სრულად გამწვანდება.


უკვე დასრულდა **12** სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია. სამუშაოები ამჟამად **2** ლოკაციაზე მიმდინარეობს, ხოლო წლის განმავლობაში ჯამში **18** მისამართზეა დაგეგმილი.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მწვანე ბათუმი









ქალაქის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს სკვერების, პარკების, ხე-მცენარეებისა და საცხოვრებელი ეზოების მოვლა-მოწესრიგება.

სამუშაოები ეტაპობრივად გრძელდება ქალაქის მთელ ტერიტორიაზე.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განათლება





სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბაღების ავტორიზაციის პროცესს, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, ხარისხის კონტროლის მექანიზმებს, სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელთა მხარდაჭერასა და მათ საჭიროებებზე მორგებული ინკლუზიური გარემოს შექმნას.

განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საბავშვო ბაღების პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე - ტრენინგებსა და გადამზადების პროგრამებზე.

სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ბათუმის მერია, საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სისტემურად, ეტაპობრივად აგრძელებს როგორც ძველი ბაღების განახლებას, ისე ახალი ობიექტების დამატებას.

ახალაშენებულ ბაღებში მუნიციპალიტეტს აღსაზრდელებისთვის შექმნილი აქვს უსაფრთხო, თანამედროვე და კეთილმოწყობილი გარემო, სადაც შესაძლებელია ხარისხიანი სკოლამდელი განათლების მიღება.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

რეაბილიტაცია დასრულდა და საალმზრდელო პროცესი განახლდა ბათუმის №3, №12 და №26 საბავშვო ბაღებში








წლიური ანგარიში
2026

სამუშაოები შესრულდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

განათლება



ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია

ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ სტიპენდია გაიცა საუკეთესო შედეგების მქონე **70** სტიპენდიატზე პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.

ტბელ აბუსერისძის სახელობის სტიპენდია

ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ სტიპენდია გაიცა საუკეთესო შედეგების მქონე **10** სტიპენდიატზე.

წლიური ანგარიში
2026

ახალგაზრდების ხელშეწყობა



ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრში უზრუნველყოფილია:

ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული ახალგაზრდული სივრცის ფუნქციონირება;

შექმნილია არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობები;

მხარდაჭერილია ახალგაზრდების ინიციატივების განხორციელება.



წლიური ანგარიში
2026

რეგიონული ცენტრი ხელს უწყობს ახალგაზრდების შესაძლებლობების გამოვლენას, განვითარებასა და პოტენციალის რეალიზებას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

კულტურა





კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობის, კულტურის პოპულარიზაციის და კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, **2026** წელს განხორციელდა შემდეგი ქვეპროგრამები:

- კულტურული ღონისძიებების მართვა;
- ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები;
- კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა;
- ფესტივალების მხარდაჭერა;
- კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

სპორტი და სპორტული ინფრასტრუქტურა

ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სპორტის განვითარების ხელშეწყობის, მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამებს.

წლიური ანგარიში
2026

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ საჭიროებებს, რომლებიც სპორტული კლუბების ეფექტიან ფუნქციონირებას და მის შემდგომ განვითარებას უკავშირდება, კერძოდ:

- კლუბების განვითარების სისტემურობას, ახალგაზრდებთან მუშაობას, ფინანსურ მდგრადობას, საერთაშორისო თანამშრომლობასა და გულშემატკივართან ეფექტურ კომუნიკაციას;

- ინფრასტრუქტურულ გამოწვევებს, ინვენტარის განახლების საჭიროებას, ფინანსური მხარდაჭერის საკითხებს, ახალგაზრდა სპორტსმენების წახალისებისა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის გაუმჯობესების მნიშვნელობას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

სპორტი და სპორტული ინფრასტრუქტურა















წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბები

წლის საუკეთესო სპორტსმენების, მწვრთნელების და სპორტული გუნდების დაჯილდოება.





















წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება



ქალაქ ბათუმის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.



სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში ბათუმს უკვე ჰყავს ახალი, მოწესრიგებული ავტობუსები.

წლიური ანგარიში
2026

ჯანმრთელობის დაცვა

საანგარიშო პერიოდში ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა;
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი;
- ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია;
- ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება;
- შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაცია;
- ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია;
- ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება;
- მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
- ქალაქ ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

სოციალური უზრუნველყოფა

ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ხორციელდება სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამები:

- კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება;
- მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;
- მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;
- მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის შემთხვევაში, სარემონტო სამუშაოების ანაზღაურების უზრუნველყოფა;
- მზრუნველობამოკლებულ და უპოვარ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა;
- მოვლის საჭიროების მქონე პირთა ბინაზე მომსახურება;
- უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- დროებითი ღამის თავშესაფრით უზრუნველყოფა, ბენეფიციართა მინიმალური საყოფაცხოვრებო სტანდარტებით დაკმაყოფილება.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

წლიური ანგარიში
2026

ქალაქის დასუფთავება

ქალაქის მოწესრიგება და სისუფთავე ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის ფარგლებში, სისტემატურად მიმდინარეობს რეფორმები და განახლება.


განხორციელდა „ბათუმის სანდასუფთავების" ავტოპარკის განახლება. სპეცავტომობილები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

სანიტარული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა

- ბათუმის ტერიტორიაზე სისტემატურად მიმდინარეობს არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორიგი;
- დეზინფექცია-დერატიზაციის ღონისძიებები;
- უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

ქალაქის წყალმომარაგება







აქტიურად მიმდინარეობს ბათუმის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა.

ინჯალოში წყლის ახალი **5000** კუბური მეტრი სამარაგე რეზერვუარის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია.

ხორციელდება სატუმბი სადგურების სარეაბილიტაციო და ავგია-ახალსოფლის მიმართულებით წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, **500**-მდე ოჯახი უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

ადლიის გამწმენდი ნაგებობის გაფართოებისა და სიმძლავრის გაზრდის შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება ბათუმის ცენტრალური ნაწილისა და შემოერთებული ტერიტორიების წყალარინების მასის მექანიკური და ბიოლოგიური წმენდა.

წლიური ანგარიში
2026

საბინაო პოლიტიკა

საბინაო პოლიტიკის მიმართულებით გრძელდება პროექტის განხორციელება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის სახით.
ამ მიმართულებით ქალაქის სამ ლოკაციაზე დაწყებულია ავარიული სახლის დემონტაჟი და მშენებლობა. პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება.

მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი სისრულეში მოიყვანა და საანგარიშო პერიოდში ორ მრავალშვილიან ოჯახს ბინები საკუთრებაში გადასცა.





წლიური ანგარიში
2026

ქალაქის ურბანული განვითარება



მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით და საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური დაფუძნდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესს.

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში



ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია



საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიამ გამართა **9** სხდომა.

კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული **49** საკითხი, კომისიამ დასკვნის სახით შეიმუშავა **9** რეკომენდაცია.

წლიური ანგარიში
2026

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში

განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია



საანგარიშო პერიოდში კომისიამ გამართა **9** სხდომა, განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული **16** საკითხი, დასკვნის სახით შეიმუშავა **9** რეკომენდაცია.



მნიშვნელოვანია, რომ საანგარიშო პერიოდში კომისიამ შეიმუშავა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის, მემორიალური დაფის და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების ახალი წესი.

წლიური ანგარიში
2026

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”



საანგარიშო პერიოდში ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხი, მათ შორის:

- საკრებულოს წევრების **2026** წლის აქტივობების ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- სამომავლოდ დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ;
- საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების შესახებ;
- ქალაქში დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებზე ინფორმაციების მოსმენა.

- ფრაქციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა **16** სხდომა;
- ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა **139** საკითხი.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფში

საკრებულოში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის მომზადების ორგანიზების მიზნით შექმნილია დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს.



სამუშაო ჯგუფის მიერ მოკვლეულია ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებს შორის ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებული სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები და განსაზღვრულია შემდგომი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

მოსახლეობასთან მიმდინარეობს საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები.

დროებითი სამუშაო ჯგუფი ადმინისტრაციული საზღვრების ცვლილების საკითხზე მუშაობას განაგრძობს.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივა



ახალი მრავალპროფილური ინიციატივა -

„ბათუმის თვითმმართველობის ინსტიტუციური მეხსიერება და განვითარების პერსპექტივები“

ინიციატივა მიზნად ისახავს ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებას, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მათი აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობასა და ბათუმის საკრებულოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს როლის წარმოჩენას ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერისა და განვითარების პროცესში.

წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივა

„ბათუმის თვითმმართველობის ინსტიტუციური მეხსიერება და განვითარების პერსპექტივები“



















წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივა

„ბათუმის თვითმმართველობის ინსტიტუციური მეხსიერება და განვითარების პერსპექტივები“











წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

წარმომადგენლობითი საქმიანობა

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს.





წლიური ანგარიში
2026

ვიზიტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წარმომადგენლობითი საქმიანობა

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ეროვნული ასამბლეის მე-**8** სხდომა









წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წარმომადგენლობითი საქმიანობა

კონფერენცია - „შავიზღვისპირეთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა - რეალობა და პერსპექტივები“









წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

შეხვედრები მოქალაქეებთან

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარე სხვადახვა საკითხზე ადგილზე შეხვდა და კონსულტაცია გაუწია **427** მოქალაქეს.

ამავე პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე საკრებულოს აპარატში რეგისტრირებულია **473** წერილი და განცხადება. აქედან, **253** კორესპონდენცია განხილული და შესრულებულია, **140** - გადაგზავნილია შესაბამის სამსახურებში განსახილველად, ხოლო **80** განხილვის პროცესშია.

ამასთანავე, ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულებში ბათუმის მერთან და საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად გამართულ შეხვედრებზე შესწავლილი და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილი იქნა მოსახლეობის მიერ შეხვედრებზე დასმული საკითხების უმრავლესობა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

შეხვედრები მოქალაქეებთან

შეხვედრები სამრეწველო და ხიმშიაშვილის ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებში











წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

შეხვედრები მოქალაქეებთან

შეხვედრა ბაგრატიონი 2-ის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრში











წლიური ანგარიში
2026

შეხვედრები მოქალაქეებთან

შეხვედრა კახაბრის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრში











წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

შეხვედრები მოქალაქეებთან

შეხვედრა ძველი ბათუმის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრში











წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

შეხვედრები მოქალაქეებთან

შეხვედრა აღმაშენებლის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრში











წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

შეხვედრები მოქალაქეებთან

შეხვედრა ჯავახიშვილის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრში











წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

შეხვედრები მოქალაქეებთან

შეხვედრა თამარის დასახლების ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრში











წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

შეხვედრები მოქალაქეებთან

შეხვედრა რუსთაველის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრში











წლიური ანგარიში
2026

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

შეხვედრები მოქალაქეებთან

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების სერვისცენტრებში საკრებულოს თავმჯდომარისა და ქალაქის მერის შეხვედრები მოსახლეობასთან სისტემატურად იმართება.

შეხვედრების მთავარი მიზანი მოქალაქეთა საჭიროებების გამოვლენა და მათზე სწრაფი რეაგირებაა.

წლიური ანგარიში
2026

ბათუმი

ქალაქ ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველო



მადლობა ყურადღებისთვის !

წლიური ანგარიში
2026